1161

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ორშაბათი, 23 თებერვალი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 8 (219) ფასი 30 კაპ.

ბრძანება
თავდაცვის სახალხო კომისრისა
№ 55

1942 წლის 23 თებერვალი **ქ. მოსკოვი**

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო ქალებო და ვაჟებო!

წითელი არმიის XXIV წლისთავს ჩვენი ქვეყნის ხალხები ხვდებიან მრისხანე დღეებში, როდესაც სამამულო ომი სწარმოებს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც თავხედურად და უტიფრად ემუქრება ჩვენი სამშობლოს სიცოცხლესა და თავისუფლებას. უზარმაზარი ფრონტის მანძილზე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლები გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან, რათა ჩვენი ქვეყნიდან განდევნონ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და დაიცვან ჩვენი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

წითელ არმიას პირველად როდი უხდება ჩვენი სამშობლოს დაცვა მტრების თავდასხმისაგან. წითელი არმია 24 წლის წინათ შეიქმნა უცხოელ ინტერვენტ დამპყრობთა ჯარებთან საბრძოლველად, რომლებიც ცდილობდნენ დაენაწილებინათ ჩვენი ქვეყანა და მოესპოთ მისი დამოუკიდებლობა. წითელი არმიის ახალგაზრდა რაზმებმა, რომლებიც ომში პირველად იღებდნენ მონაწილეობას, სასტიკად დაამარცხეს გერმანელი დამპყრობლები პსკოვთან და ნარვასთან 1918 წლის 23 თებერვალს. სწორედ ამიტომ იყო გამოცხადებული 1918 წლის 23 თებერვალი წითელი არმიის დაბადების დღედ. მას შემდეგ წითელი არმია იზრდებოდა და მტკიცდებოდა უცხოელ ინტერვენტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. მან დაიცვა ჩვენი სამშობლო გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში 1918 წელს და განდევნა ისინი უკრაინის, ბელორუსიის საზღვრებიდან. მან დაიცვა ჩვენი სამშობლო ანტანტის უცხოელ ჯარებთან ბრძოლებში 1919-1921 წლებში და განდევნა ისინი ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან.

სამოქალაქო ომის პერიოდში უცხოელ ინტერვენტ დამპყრობთა განადგურებამ საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის უზრუნველჰყო ხანგრძლივი მშვიდობიანობა და მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა. მშვიდობიანი მშენებლობის ამ ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა სოციალისტური მრეწველობა და საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობა, აყვავდა მეცნიერება და კულტურა, განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. მაგრამ საბჭოთა ხალხს არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ შესაძლებელია მტრების ახალი თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე. ამიტომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობასთან ერთად იზრდებოდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებაც. ეს ძლიერება უკვე გამოსცადა თავის ზურგზე სხვისი მიწების ზოგიერთმა მოყვარულმა. ამას გრძნობს ახლა გერმანელ ფაშისტთა ნაქები არმია.

8 თვის წინათ ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, უხეშად და უტიფრად დაარღვია ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. მტერს იმედი ჰქონდა, რომ პირველივე დარტყმის შემდეგ წითელი არმია განადგურდებოდა და წინააღმდეგობის უნარს დაჰკარგავდა. მაგრამ მტერი სასტიკად მოსტყუვდა ანგარიშში. მან ვერ გაითვალისწინა წითელი არმიის ძალები, ვერ გაითვალისწინა საბჭოთა ზურგის სიმტკიცე, ვერ გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებისყოფა გამარჯვებისა, ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიის ევროპული ზურგის არასაიმედობა, ბოლოს, ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის შინაგანი სისუსტე.

ომის პირველ თვეებში, გერმანელ ფაშისტთა თავდასხმის მოულოდნელობისა და უეცრობის გამო, წითელი არმია იძულებული აღმოჩნდა უკან დაეხია და საბჭოთა ტერიტორიის ნაწილი დაეტოვებინა. მაგრამ უკანდახევისას იგი ჰქანცავდა მტრის ძალებს და სასტიკად ურტყამდა მას. არც წითელი არმიის მებრძოლებს, არც ჩვენი ქვეყნის ხალხებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს უკანდახევა დროებითია, რომ მტერს შევაჩერებთ, ხოლო შემდეგ გავანადგურებთ კიდეც.

ომის მსვლელობაში წითელ არმიას ემატებოდა ახალი სასიცოცხლო ძალები, ივსებოდა ადამიანებითა და ტექნიკით, დასახმარებლად მოსდიოდა ახალი სარეზერვო დივიზიები. და დადგა დრო, როდესაც წითელ არმიას საშუალება მიეცა შეტევაზე გადასულიყო უზარმაზარი ფრონტის მთავარ უბნებზე. მოკლე ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ ზედიზედ ჩასცა ლახვარი გერმანიის ფაშისტურ ჯარებს დონის როსტოვთან და ტიხვინთან, ყირიმში და მოსკოვთან. მოსკოვთან წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლებში მან დაამარცხა გერმანიის ფაშისტური ჯარები, რომლებიც გარშემორტყმით ემუქრებოდნენ საბჭოთა დედაქალაქს. წითელმა არმიამ უკუაგდო მტერი მოსკოვიდან და მას დასავლეთისაკენ მიერეკება. გერმანელი დამპყრობლებისაგან სავსებით განთავისუფლებულია მოსკოვისა და ტულის ოლქები, მტრის მიერ დროებით დაკავებული სხვა ოლქების ათობით ქალაქები და ასობით სოფლები.

ახლა გერმანელებს უკვე აღარ აქვთ ის სამხედრო უპირატესობა, რაც მათ ომის პირველ თვეებში ჰქონდათ მუხანათური და უეცარი თავდასხმის შედეგად. უეცრობისა და მოულოდნელობის მომენტი, როგორც გერმანიის ფაშისტური ჯარების რეზერვი, სავსებით ამოიწურა. ამით ლიკვიდირებულ იქნა ის უთანასწორობა ომის პირობებში, რაც გერმანიის ფაშისტთა თავდასხმის უეცრობით იყო შექმნილი. ახლა ომის ბედს გადასწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიცაა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი. ამასთან საჭიროა აღინიშნოს ერთი გარემოება: საკმარისი იყო გერმანელთა არსენალში გამქრალიყო უეცრობის მომენტი, და გერმანიის ფაშისტური არმია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

გერმანელ ფაშისტებს თავისი არმია უძლეველად მიაჩნიათ, ისინი ირწმუნებიან, რომ ორთაბრძოლაში იგი უსათუოდ დაამარცხებს წითელ არმიას. ახლა წითელი არმია და გერმანიის ფაშისტური არმია ორთაბრძოლას აწარმოებენ. უფრო მეტი: გერმანიის ფაშისტურ არმიას ფრონტზე პირდაპირ დახმარებას უწევენ იტალიის, რუმინეთის, ფინეთის ჯარები. წითელ არმიას ჯერ ასეთი მხარდაჭერა არა აქვს. და მერე რა: გერმანიის ნაქები არმია დამარცხებას განიცდის, წითელ არმიას კი სერიოზული წარმატებანი აქვს. წითელი არმიის მძლავრი დარტყმის შედეგად გერმანიის ჯარები დასავლეთისაკენ გარბიან და უდიდეს ზარალს ნახულობენ ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ისინი თითოეულ ზღუდეს ებღაუჭებიან და ცდილობენ გადაავადონ თავისი განადგურების დღე. მაგრამ ამაოა მტრის მეცადინეობა. ინიციატივა ახლა ჩვენს ხელთაა და ჰიტლერის დანჯღრეული, დაჟანგული მანქანის უხეირო ცდები ვერ შესძლებენ წითელი არმიის შეტევის შეჩერებას. შორს არ არის ის დღე, როცა წითელი არმია თავისი მძლავრი დარტყმით უკუაგდებს გამხეცებულ მტრებს ლენინგრადისაგან, გაწმენდს მათგან ბელორუსიისა და უკრაინის, ლიტვისა და ლატვიის, ესტონეთისა და კარელიის ქალაქებსა და სოფლებს, გაათავისუფლებს საბჭოთა ყირიმს, და მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე კვლავ ძლევამოსილად იფრიალებს წითელი დროშები.

მაგრამ შეუწყნარებელი სიბეცე იქნებოდა მიღწეულ წარმატებებით დავმშვიდებულიყავით და გვეფიქრა, რომ გერმანიის ჯარებს უკვე ბოლო აქვთ მოღებული. ეს საბჭოთა ადამიანების შეუფერებელი ფუჭი ბაქიობა და ამპარტავნობა იქნებოდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის. მტერი დამარცხებას განიცდის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული და — მით უფრო — მთლად მოსპობილი. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. იგი უკანასკნელ ძალებს დაძაბავს, რათა წარმატებას მიაღწიოს. და რაც უფრო მეტ დამარცხებას განიცდის იგი, მით უფრო გამხეცდება. ამიტომ აუცილებელია, რათა ჩვენს ქვეყანაში ერთი წუთითაც კი არ შესუსტდეს რეზერვების მომზადება ფრონტის დასახმარებლად. აუცილებელია, რათა ფრონტზე ჯარის სულ ახალი და ახალი ნაწილები მიდიოდნენ გამხეცებულ მტერზე გამარჯვების გამოსაჭედად. აუცილებელია, რათა ჩვენი მრეწველობა, განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობა, გაორკეცებული ენერგიით მუშაობდეს. აუცილებელია, რათა დღითი-დღე ფრონტი სულ უფრო და უფრო მეტ ტანკებს, თვითმფრინავებს, ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებს, ტყვიამფრქვევებს, შაშხანებს, ავტომატებს, საომარ მასალებს იღებდეს.

ეს არის წითელი არმიის ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

მაგრამ წითელი არმიის ძალა მარტო ეს როდია.

წითელი არმიის ძალა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეწევა არა დაპყრობითს, არა იმპერიალისტურ ომს, არამედ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს. წითელი არმიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაათავისუფლოს გერმანელი დამპყრობლებისაგან ჩვენი საბჭოთა ტერიტორია, გაათავისუფლოს გერმანელი დამპყრობლების უღლისაგან ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მოქალაქენი, რომლებიც ომამდე თავისუფალნი იყვნენ და ადამიანურად ცხოვრობდნენ, ხოლო ახლა დაჩაგრულნი არიან და იტანჯებიან ძარცვისა, აკლებისა და შიმშილისაგან, დასასრულ, გაათავისუფლოს ჩვენი ქალები იმ სირცხვილისა და შეურაცხყოფისაგან, რასაც მათ გერმანელი ფაშისტი მტარვალები აყენებენ. რა შეიძლება იყოს ასეთ ამოცანაზე უფრო კეთილშობილური და დიადი? არც ერთ გერმანელ ჯარისკაცს არ შეუძლია სთქვას, რომ იგი სამართლიან ომს ეწევა, ვინაიდან არ შეუძლია არ ხედავდეს, რომ მას აიძულებენ იომოს სხვა ხალხების გაძარცვისა და დაჩაგვრისათვის. გერმანელ ჯარისკაცს არა აქვს ომის დიადი და კეთილშობილური მიზანი, რომელიც შესძლებდა მის აღფრთოვანებას და რომლითაც მას შეეძლო ეამაყნა. და, პირიქით, წითელი არმიის ყოველ მებრძოლს შეუძლია სიამაყით სთქვას, რომ იგი ეწევა სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს, ომს თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. წითელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური და დიადი მიზანი, რომელიც აღფრთოვანებს მას საგმირო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ამაშია წითელი არმიის ძალა.

ამაშივეა გერმანიის ფაშისტური არმიის სისუსტე.

ზოგჯერ ლაყბობენ უცხოეთის პრესაში, წითელ არმიას მიზნად აქვს გაჟლიტოს გერმანელი ხალხი და მოსპოს გერმანიის სახელმწიფო. ეს, რა თქმა უნდა, სულელური სიცრუეა და უგუნური ცილისწამებაა წითელი არმიის შესახებ. წითელ არმიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ასეთი იდიოტური მიზნები. წითელ არმიას მიზნად აქვს განდევნოს გერმანელი ოკუპანტები ჩვენი ქვეყნიდან და გაათავისუფლოს საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ძალიან შესაძლებელია, რომ საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ომი გამოიწვევს ჰიტლერის ხროვის განდევნას ან მოსპობას. ჩვენ მივესალმებოდით ამგვარ შედეგს. მაგრამ სასაცილო იქნებოდა ჰიტლერის ხროვის გაიგივება გერმანელ ხალხთან, გერმანიის სახელმწიფოსთან. ისტორიის გამოცდილება გვეუბნება, რომ ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი, გერმანიის სახელმწიფო კი — რჩება.

ბოლოს, წითელი არმიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რასობრივი სიძულვილი სხვა ხალხებისადმი, მათ შორის გერმანელი ხალხისადმიც, რომ იგი აღზრდილია ყველა ხალხისა და რასის თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით, სხვა ხალხების უფლებებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. გერმანელთა რასობრივ თეორიას და რასობრივი სიძულვილის პრაქტიკას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ფაშისტური გერმანიის მტერი გახდა. სსრ კავშირში რასობრივი თანასწორუფლებიანობის თეორიას და სხვა ხალხების უფლებებისადმი პატივისცემის პრაქტიკას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი საბჭოთა კავშირის მეგობარი გახდა.

ამაშია წითელი არმიის ძალა.

ამაშივეა გერმანიის ფაშისტური არმიის სისუსტე.

ზოგჯერ უცხოეთის პრესაში ლაყბობენ, რომ საბჭოთა ადამიანებს სძულთ გერმანელები, სახელდობრ როგორც გერმანელები, რომ წითელი არმია სპობს გერმანელ ჯარისკაცებს, სახელდობრ როგორც გერმანელებს, ყოველივე გერმანულისადმი სიძულვილის გამო, რომ ამიტომ წითელ არმიას ტყვედ არ მიჰყავს გერმანელი ჯარისკაცები. ეს, რასაკვირველია, ასეთივე სულელური სიცრუეა და უგუნური ცილისწამებაა წითელი არმიის შესახებ. წითელი არმია თავისუფალია რასობრივი სიძულვილის გრძნობისაგან. იგი თავისუფალია ასეთი დამამცირებელი გრძნობისაგან, იმიტომ რომ იგი აღზრდილია რასობრივი თანასწორობისა და სხვა ხალხების უფლებებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ამას გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში რასობრივი სიძულვილის გამოხატულება კანონით ისჯება.

რა თქმა უნდა, წითელ არმიას უხდება გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების მოსპობა, რამდენადაც მათ სურთ დაიმონონ ჩვენი სამშობლო, ან როდესაც ისინი, გარშემორტყმული არიან რა ჩვენი ჯარებით, უარს ამბობენ იარაღის დაყრასა და ტყვედ დანებებაზე. წითელი არმია მათ სპობს არა მათი გერმანული წარმოშობის გამო, არამედ იმის გამო, რომ მათ სურთ დაიმონონ ჩვენი სამშობლო. წითელ არმიას, ისე როგორც ყველა სხვა ხალხის არმიას, უფლება აქვს და ვალდებულიც არის მოსპოს თავისი სამშობლოს დამმონებლები, მათი ნაციონალური წარმოშობის მიუხედავად. ამას წინათ ქალაქ კალინინში, კლინში, სუხინიჩში, ანდრეაპოლში, ტოროპეცში ჩვენი ჯარები გარსშემოერტყნენ გერმანიის იქ მდგომ გარნიზონებს, რომლებსაც წინადადება მისცეს ტყვედ დანებებულიყვნენ და დაჰპირდნენ, რომ ამ შემთხვევაში სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. გერმანიის გარნიზონებმა იარაღის დაყრაზე და ტყვედ დანებებაზე უარი სთქვეს. გასაგებია, რომ საჭირო გახდა მათი ძალით გამორეკვა, ამასთან ბევრი გერმანელი დახოცეს. ომი ომია. წითელ არმიას ტყვედ მოჰყავს გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები, თუ ისინი ტყვედ ნებდებიან, და უნარჩუნებს მათ სიცოცხლეს. წითელი არმია გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სპობს, თუ ისინი უარს ამბობენ იარაღის დაყრაზე და იარაღით ხელში ცდილობენ დაიმონონ ჩვენი სამშობლო. მოიგონეთ დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის სიტყვები: „თუ მტერი არ ნებდება, — მას სპობენ“.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო ქალებო და ვაჟებო! გილოცავთ წითელი არმიის XXIV წლისთავს! გისურვებთ სრულ გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე!

გაუმარჯოს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს პარტიზან ვაჟებსა და ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს, მის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს ბოლშევიკთა დიად პარტიას, რომელსაც ჩვენ გამარჯვებისაკენ მივყევართ!

გაუმარჯოს დიდი ლენინის უძლეველ დროშას!

ლენინის დროშით წინ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად!

თავდაცვის სახალხო კომისარი ი. სტალინი

სამშობლოსა და კაცობრიობისათვის დიადი მებრძოლი

24 წელიწადი შეუსრულდა ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას და წითელ ფლოტს. ამავე დროს საბჭოთა საქართველო აღნიშნავს თავისი არსებობის ოცდაერთი წლისთავს. ეს ორი ისტორიული თარიღი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თუ საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებელი არსებობა, თუ იგი ამ ხნის განმავლობაში ეკონომიურად და კულტურულად მოწინავე აყვავებულ რესპუბლიკად იქცა, ეს არის იმ ძმური დახმარების შედეგიც, შედეგი იმ განმათავისუფლებელი მისიისა, რომელიც შეასრულა წითელმა არმიამ საქართველოს მშრომელი მასების მიმართ უცხოელ დამპყრობელთა და მათი აგენტების მენშევიკების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის დროს.

დღეს, თავისი არსებობის ოცდაოთხი წლისთავზე, წითელი არმია ამ თავის დიად განმათავისუფლებელ მისიას ასრულებს მთელი საკაცობრიო მასშტაბით, ასრულებს ისეთი სიმამაცით და გმირობით, როგორიც ისტორიას არ ახსოვს, როგორსაც არც ერთი ეპოქა არ მოსწრებია.

ეს უდავო ჭეშმარიტებაა, რომელსაც ამაგრებს ისეთი ურყევი არგუმენტი, როგორიც არის წითელი არმიისა და ფლოტის 8 თვის მედგარი ომი გერმანული ფაშიზმის ჯოჯოხეთურ სამხედრო მანქანასთან, როგორიც არის ჩვენი არმიისა და ფლოტის მიერ ფაშისტური დრაკონის ხერხემლის გატეხა.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ წითელი არმია ამ დიდი საკაცობრიო მისიის შესრულებას შეუდგებოდა, მან დაამტკიცა, რომ იგი არის სრულიად ახალი ტიპის არმია კაცობრიობის ისტორიაში. მთელი ათეული წლების მანძილზე იგი უშიშარ, ფხიზელ დარაჯად იდგა საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, მის გიგანტურ სოციალისტურ აღმშენებლობას. უფრო მეტი — წითელი არმია თვით იყო სოციალიზმის მშენებელთა კადრების აღმზრდელი სკოლა. ჯერ კიდევ ამ 15 წლის წინათ ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მწერალი მაქსიმ გორკი სწერდა: „საბჭოთა კავშირში წითელი არმიის მებრძოლი იზრდება, როგორც ახალი კულტურის მშენებელი. ის არის თავისი ხალხის არა მარტო დამცველი, არამედ ბევრ რამეში მასწავლებელიც“.

წითელი არმიის რიგებიდან ფიზიკურად გაკაჟებული, იდეურად, მორალურად ამაღლებული ახალგაზრდები უბრუნდებოდნენ თავიანთ ქარხნებსა და თავიანთ სოფლებს. თავიანთი პირადი მაგალითით, თავიანთი სიტყვითა და საქმით ნერგავდნენ ისინი თავიანთ თანამემამულეებში, საბჭოთა ადამიანებში იმას, რაც წითელი არმიის შესანიშნავ სკოლაში შეიძინეს. თავიანთ ქარხნებსა და კოლმეურნეობებში მიიტანეს მათ გული მგზნებარე პატრიოტისა, პათოსი თავდადებული შრომისა.

და აი დადგა უმძიმესი გამოცდის დღეები ჩვენი ხალხისა და ჩვენი სამშობლოსათვის: ჩვენს ქვეყანას დაეჯახა ყველაზე ბილწი და მზაკვარი მტერი, მტერი, რომლის შეიარაღებაც მის სიმუხთლეს, ვერაგობას და მხეცურ სისასტიკეს თუ შეედრებოდა. წითელი არმიის მიერ აღზრდილი მილიონები, რომლებიც მშვიდობიან შრომას ეწეოდნენ, მყისვე დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ არმიას და მთელი თავგანწირულებით ეკვეთნენ მოსისხლე მტერს.

ამ მძიმე განსაცდელის თვეებში მთელი სიდიადით დავინახეთ, თუ რა გოლიათების აღმზრდელ სკოლად გადაუქცევია ლენინ-სტალინის პარტიას ჩვენი წითელი არმია და ჩვენი წითელი ფლოტი. ომის პირველ დღეებიდანვე წითელი არმიის მეომრები, მეთაურები და პოლიტმუშაკები გვიჩვენებენ პირადი და მასობრივი გმირობის დაუვიწყარ ნიმუშებს.

„წითელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური და დიადი მიზანი, რომელიც აღფრთოვანებს მას საგმირო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის“ (სტალინი).

სწორედ ამ ადამიანების გმირობა შეადგენს წითელი არმიის სულს. მათი გმირობაა დღეს ჩამგონებელი მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ასკეცებს დღეს თავის შრომას, ძაბავს მთელ თავის ენერგიას, რათა უზრუნველჰყოს ჩვენი მეომრების ძლევამოსილი წინსვლა, მათ მიერ მოსისხლე მტრის სრული განადგურება. ჩვენი მეომრების სიმამაცე და ვაჟკაცობა არის დღეს ჩამგონებელი მთელი ჩვენი მწერლობისა და ხელოვნებისა. დღეს ქართველი საბჭოთა მწერლისა და ხელოვანისათვის არ არსებობს სხვა თემა, გარდა სამშობლოს დაცვის დიადი თემისა, არ არსებობს სხვა მისწრაფება, გარდა იმისა, რომ გამოხატოს ის უღრმესი სიყვარული და უდიდესი აღტაცება, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტის გული თავისი მშობლიური არმიის მიმართ.

ჩვენი არმიის ძლევამოსილი გაუტეხელი სიმტკიცე ანცვიფრებს მთელ მსოფლიოს. მთელი მოწინავე კაცობრიობა შეჰყურებს მას, როგორც ჰიტლერისაგან გათელილი ხალხების ერთად-ერთ მხსნელსა და განმათავისუფლებელს. მოსკოვთან გერმანული ურდოების განადგურების გამო ფრანგი მწერალი ჟან რიშარ ბლოკი სწერდა: „მამაცი წითელი არმიის მიერ საზიზღარი ფაშისტური გეგმების ჩაფუშვამ დაასამარა ფაშიზმის პოლიტიკური პრესტიჟი და, პირიქით, გააცისკროვნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეალი. ამიერიდან კაცობრიობის შეგნებაში მსოფლიოს ბედიღბლის ეს გადამწყვეტი შემობრუნება არ შეიძლება დაშორებულ იქნას იმ პრინციპებს, რომლებმაც ასეთი ფართო გასაქანი მისცეს საბჭოთა კავშირის სახალხო ძლიერებას და რომლებმაც მას დაამარცხებინეს მტერი, ტექნიკურად უძლიერესი მტერი ჩვენს პლანეტაზე. ამიერიდან წითელი არმიის მებრძოლის ლეგენდარული სახე და საბჭოთა ვარსკვლავი განუწყვეტლად დაკავშირებულია ფაშისტური კოშმარის აღსასრულთან“.

ეს არ არის ევროპისა და ამერიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მარტოოდენ ცალკეული წარმომადგენლების აზრი. დღეს მთელი მოწინავე კაცობრიობა არის დარწმუნებული, რომ წითელი არმია ასრულებს უდიდეს განმათავისუფლებელ მისიას.

წითელი არმია გაამართლებს ამ თავის დიად დანიშნულებას. ამის თავმდებია სისხლიან ფაშიზმზე მისი პირველი გამარჯვებანი, ამის თავმდებია ხელმძღვანელობა და ბრძნული სტრატეგია ჩვენი მშობლიური არმიის მთავარსარდლის ამხანაგ სტალინისა.

ბავშვები

ირაკლი აბაშიძე

გადამწვარ სოფელთან, სადაც ხის ოდები
თითქო რომ წაშლილან დელგმით და ზვავით,
მტრის ერთი ფრინველიც, სარდაფის ოდენა,
ძირს ეგდო ჩამკვდარი — ფოლადის სვავი.

ოდების ნაშთები, ცივი და მყინვარი,
აქა-იქ ბოლავდნენ მქრალად და ბუნდად,
და იყო დუმილი, და რკინის ფრინველიც
ტრამალის ნამქერში ლეშივით სდუმდა.

და მხოლოდ ბავშვები, გულჩვილი შველები,
გუშინ რომ ალხენდნენ ქუჩებს და ჩიხებს,
სვავს ერტყნენ ეხლა და დიდ საშინელებას
ტირილით უშენდნენ პატარა მჯიღებს.

კვლავ მოშუშდა იარა

ი. გრიშაშვილი

> „მამაცმა წითელმა არმიამ უამრავი ქალაქი განთავისუფლა“
>
> (გაზეთებიდან)

კვლავ მოშუშდა იარა, კვლავ სოფელი აქ არი,
ქარმა გადაიარა, აღსდგა ნაქალაქარი.

მოდიან და მოდიან ურმით დაბარგულები,
სიმღერებად აზვავდა დარბეული გულები.

ბეღურებმა მონახეს ბუდე აივნიანი,
ხეხილებმა აუშვეს გამარჯვების ნიავი.

გლეხი მშვიდად ჩამოჯდა თავის ახალ კარავთან, —
სიხარული გადიდდა, ცრემლი დაპატარავდა.

გმირი მეგობარი

სანდრო ეული

ოჯახის კერას უვლიდა
და მამა იყო ვაჟის,
არავის ქედს არ უხრიდა,
გული უცემდა კაჟის,

კაცური ქუდი ეხურა
ვაჟკაცად ქებულს სოფლად,
ხალხს უმღეროდა გლეხურად,
თავს არა სთვლიდა ობლად.

და როს სამშობლოს დაესხა
ავაზაკურად მტერი,
მაშინ მას ფრთები აესხა,
ვით დროშას ალის ფერი,

წავიდა, სადაც დიადი
რწმენა მებრძოლებს ითხოვს,
წავიდა, სადაც ბელადი
ლომგულ ვაჟკაცებს იხმობს.

წავიდა და იმ დროიდან
მასზე ფიქრობდა დედა,
ცოლიც ფიქრობდა: ფრონტიდან
წერილს რათ არ მწერს ნეტა?

აი, წერილიც მოვიდა...
გული კი რათ არ ხარობს?
ცოლი დახედავს წერილს და
თვალები მისი ჩქარობს, —

კითხულობს: სად მტერს ელოდა,
იქ გაჩნდებოდა მუდამ,
ფაშისტს გმირულად ხვდებოდა,
სიკვდილს მოესწრო თუნდაც.

ერთხელ კი, როცა მეგობარს
მტერი დაესხა თავზე
და ათთან იმ ერთ მეომარს
ხმალი გადუტყდა ტარზე,

გმირი ეკვეთა მტერს, ქოფაკს,
დღე გაუთენა შავი,
თუმცა უშველა მეგობარს,
თვით კი გასწირა თავი.

ბრწყინვალე ბრძოლათა და გამარჯვებათა XXIV წლისთავი

ლეო ქიაჩელი

ჩვენში მტკიცე ტრადიციად არის გადაქცეული, რომ თებერვლის დღევანდელ რიცხვს ორი დიდი სადღესასწაულო თარიღი ემთხვევა ერთმანეთს. ერთია მსოფლიო მნიშვნელობის თარიღი — ეს არის ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი, კაცობრიობის ისტორიაში პირველი და ერთად-ერთი სოციალისტური წითელი არმიის არსებობის წლისთავი. მეორე კი — საბჭოთა საქართველოს წლისთავია, ასე ვსთქვათ ჩვენი შინაური სახალხო დღესასწაული.

სრულიად გასაგებია, რომ დღეს მთელი ჩვენი ყურადღება უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა წითელ არმიას აქვს მიპყრობილი: გერმანიის იმპერიალიზმმა ჩვენ თავს მოგვახვია უმძიმესი და უსასტიკესი ომი, რომლის სისხლიან ქარბუქში გახვეულია მთელი ჩვენი სამშობლო. ქვეყნის მთელი იმედი, მისი ბედი, მომავალი წითელ არმიაზეა დამყარებული. მას არა ერთხელ უხსნია განსაცდელისაგან ჩვენი ხალხი. თავისი სახელოვანი ოცდაოთხი წლის ისტორიის მანძილზე წითელ არმიას არა ერთხელ გამოუმჟღავნებია თავისი საკვირველი შესაძლებლობანი — სწორუპოვარი გმირობა და სამაგალითო თავგანწირვა. არა ერთი და ორი უბრწყინვალესი გამარჯვების შარავანდედი მოსავს მის დროშას, რომელიც სამოქალაქო ომის და ინტერვენციის ხანგრძლივი პერიოდის ძლევამოსილი ბრძოლების სისხლით არის შედუღებული. მაგრამ დღევანდელ მსოფლიო ომში წითელი არმიის როლი სრულიად განსაკუთრებულია. როგორც ჩვენი ხალხი, ისე მთელი მოწინავე კაცობრიობა მას უაღრესად პასუხსაგებ, ფართო და დიდ მოთხოვნას უყენებს, რომელსაც განსაზღვრავენ მიმდინარე ომის ჯერ არნახული მასშტაბი და ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ამოცანები.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც წითელ არმიას სხვა ქვეყნების არმიებისაგან განასხვავებს. ეს არის იდეურობა. იმ სამხედრო საჭურველთა შორის, რომლებითაც შეიარაღებულნი არიან წითელი არმიის რიგები, იდეას მიკუთვნილი აქვს უპირველესი როლი. სწორედ ეს არის ერთი მთავარი საწინდართაგანი, რომ ამ უმაგალითო მსოფლიო ომის ასპარეზზედაც, სადაც უდიდეს სახელმწიფოთა და ერთა გვერდით სწყდება მცირე ხალხთა ბედიღბალი, წითელი არმია ღირსეულად შეასრულებს დაკისრებულ ამოცანას და გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს. ამის უტყუარი ნიშნები ცხადად დაგვანახვა მისმა საოცარმა გმირულმა ბრძოლამ ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში. თუ ფაშისტური გერმანიის ჯარი უძლეველად იყო მიჩნეული, ვიდრე იგი წითელი არმიის მთელ ძალას პირისპირ შეხვდებოდა, დღეს სულ სხვა სურათის მოწმენი ვართ ყველანი. წითელმა არმიამ სავსებით გაამართლა თავისი აღმზრდელის, ხელმძღვანელისა და ბელადის სტალინის სიტყვა: გააცამტვერა ფაშისტური ჯარის უძლეველობის მითი. ეს უკვე იმ გამარჯვებათაგანია, რომელსაც არ შეიძლება არ მოჰყვეს მტრის საბოლოო დამარცხება. მტრის უკუქცევამ მოსკოვიდან, როსტოვიდან და მთელი რიგი სხვა ქალაქებიდან და სტრატეგიული პუნქტებიდან უდავო გამარჯვების რწმენა შთაბერა მთელს ჩვენს ქვეყანას კიდით კიდემდე, კიდევ უფრო შეჰკრა გამარჯვების ნებისყოფით მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო განამტკიცა ბრძოლის ფრონტი და განუზომელი რესურსების მქონე მისი ზურგი.

ამიტომ არის განსაკუთრებულად საზეიმო დღეს ჩვენი გმირული წითელი არმიის დღესასწაული, მისი სახელოვანი არსებობისა, ბრწყინვალე ბრძოლათა და გამარჯვებათა შემცველი ოცდაოთხი წლისთავი..

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის სწორუპოვარ ფალავანს — წითელ არმიას!

საზეიმო საღამო მწერალთა კლუბში

სამშობლოსა და წითელი არმიისადმი უღრმესი სიყვარულის გამომხატველი იყო ლიტერატურული საღამო, რომელიც 21 თებერვალს ქართველმა მწერლობამ მიუძღვნა წითელი არმიის 24 წლისთავს და საბჭოთა საქართველოს 21 წლისთავს.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მიერ სამშობლოს წინაშე გაწეული უდიდესი ისტორიული ღვაწლის და ახლანდელ სამამულო ომში მის საარაკო საგმირო საქმეების მიმოხილვას შეიცავდა დ. ბენაშვილის მოხსენება, ხოლო ლეო ქიაჩელის და კონსტ. გამსახურდიას სიტყვებში ხაზგასმული იყო წითელი არმიის ის იდეურ-მორალური ძალა, რომელმაც მოაპოვებინა და კვლავაც მოაპოვებინებს მას ძლევამოსილ გამარჯვებას ჰიტლერის ავაზაკურ ურდოებზე.

წითელი არმიისა და მისი გმირი მებრძოლებისადმი მიძღვნილი ღრმა ლირიზმით და პატრიოტული პათოსით გამსჭვალული საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ კონსტ. ჭიჭინაძე, მარიჯანი, მარიკა ბარათაშვილი, ი. გრიშაშვილი, ხ. ფაშალიშვილი, ს. ეული, პ. სიმონოვი და სიმონ ჩიქოვანი.

ალექსანდრე ჩეკალინი

დავით გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ გუშინ ის იყო ბავშვი
და არ იცოდა მან სიმძიმილი;
თავისუფლების დიდ ქვეყანაში
ცხოვრობდა ბავშვი, როგორც ღიმილი;

დაატარებდა წიგნებით ჩანთას,
ჰქონდა ნათელი გზა სკოლისაკენ,
და მისი ლურჯი თვალები ჩანდა
ყვავილების და ჩიტების სარკედ.

მაგრამ იქუხა და შეკრთა ბავშვი,
ომის ხანძარი დაინთო ვრცელი,
და მან დასტოვა ფაფერფლილ ბაღში
ნორჩი სიცოცხლის თექვსმეტი წელი.

ნახა სისხლი და წაიღო ფიქრმა:
მტრის თავხედობა და რისხვა უკვირს...
და გმირ მებრძოლად წამს გადაიქმნა
მიჯნაზე ყრმობის და სიჭაბუკის.

არა, სამშობლოს გადამჯეგავი,
ვინც უწმინდესი სისხლი დაღვარა,
ვერ გაექცევა ვაჟკაც ჩეკალინს,
ვერ შეუგინოს დედის ჭაღარა...

დე, მისი ხიშტიც მტრის გულს ჰკვეთავდეს,
ტყვიით ცხრილავდეს დაუზარელი...
თვით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე
იბრძოლებს, როგორც პარტიზანელი.

და არ იცოდა შემდეგ არავინ
ტყით დაბურული იმისი კვალი:
სად გაიჩინა თოვლში კარავი,
სად ციალებდა მზვერავის თვალი!

გააფთრებული ის ელვას ჰგავდა,
შურისძიების იწვოდა რისხვით:
სად არ აჩენდა ქუხილის ავდარს,
სად არ დაღვარა მტრის შავი სისხლი!

მისი გმირობა ვერვინ ვერ ახსნათ,
თუ თვითონ არ გაქვთ ვაჟკაცის სული.

აი ის მიჰყავს სახრჩობელასთან
ჯალათს ნაცემი და გაბაწრული.

არ მიდიოდა ის გზაში თრთოლვით,
სიკვდილს ვაჟკაცი რად შეუშინდეს?!
ღამეში წყნარად ცვიოდა თოვლი
და ხის ფოტროში ეძინათ ჩიტებს.

მხოლოდ შორს ველზე ზუოდა ქარი
დაუსრულებელ ზამთრის ღაღადით...
იყო ჭაბუკი საოცრად წყნარი,
სახრჩობელაზე როცა აჰყავდათ.

და მაშინ, როცა მებრძოლის კისერს
გარს შემოეჭდო თოკი ნასკვებად,
თურმე გაისმა მისი ხმა მტკიცე,
მღეროდა გმირი უკანასკნელად...

ინტერნაციონალს მღეროდა ვაჟი.
დაკიდებული თოვლიან როკთან.
მზე ამოვიდა უეცრად ცაში
და თვით სიკვდილი მის ფეხთან მოკვდა...

თუმც უკვე იყო ჩამოხრჩობილი,
ისევ მღეროდა ჭაბუკის სული,
მღეროდა მიწაც, მისი მშობელი,
გმირის სიმღერით შთაგონებული,

და სამარეში, როდესაც ცივი
თოვლის ბელტები მას დააყარეს,
შუბლშემოსილი დიდების სხივით
ის კვლავ ეწვია მშობლიურ მხარეს.

მოთხრობა გმირზე

ვასო გორგაძე

მტერს დაეკავა სოფლის ყველა გზა, მისადგომი.
სროლა ზვავივით გუგუნებდა, ძლიერდებოდა.
ხანძრის ტალღები მოელვარე ღრუბლებს სწვდებოდა
და ტყე გმინავდა გააფთრებულ ნაღმების სკდომით.

დილით გაჩაღდა სიმაგრისათვის ფიცხელი ომი,
სოფლის აღებას ოცეული ეშურებოდა,
მაგრამ წინ, გზაზე, ტყვიამფრქვევი ელობებოდა
და ვერ იძროდა, თუმც იბრძოდა ისე, ვით ლომი.

მაშინ სოსნოვსკი, მტრის სანგრისაკენ გზის გასაკაფად,
საცეცხლე წერტთან შეუმჩნევლად მიცოცდა სწრაფად
და ტყვიამფრქვევი ძირს დასწია თავის სხეულით,

თვითონ დაეცა მზის შუქივით თვალებცქრიალა,
სოფლის ბოლოზე უცებ „ვაშამ“ დაიგრიალა,
მტერი გარბოდა ბლინდაჟიდან უკუქცეული.

ჯახიევის ჯავშნიან მატარებელზე

გიორგი ლეონიძე

იმ ერთი თვის განმავლობაში, რომელიც საქართველოს გარეთ დავყავი, არა ერთი უჩვეულო სურათი ვიხილე. ჩემს ამხანაგებთან ერთად მე ჩემის თვალით ვნახე გერმანელ ბარბაროსთა თარეშის კვალი: დაყუმბარებული სოფლები, სადგურები, დამწვარი სახლები, გაჩეხილი ბაღები, მაგრამ ვნახეთ სხვა სანახაობაც: ჩვენი გმირული წითელი არმიის მარჯვენით დალეწილი ფაშისტური ტანკები, დამსხვრეული თვითმფრინავები, ვნახეთ გამარჯვებული საბჭოთა ადამიანები, რომელთაც გაუგონარი გმირობით მოიცილეს თავიდან მონობისა და დამცირების შავი დღეები. ვნახეთ ის დიდი პატრიოტული აღფრთოვანება, რომელსაც განიცდის დღეს განთავისუფლებული მოსკოვის ოლქის მოსახლეობა და ბოლოს თვით რევოლუციის დედა-ქალაქი — მოსკოვი.

გასაგებია ის დიდი სიამაყის გრძნობა, ჩვენ რომ განვიცდიდით იმ ისტორიულ დღეებში ყოფნისას მოსკოვში და სხვა რაიონებში, სადაც გუშინ ფრონტი იყო და სადაც ნაწილობრივ დღესაც ფრონტული ცხოვრებაა თავისი გმირული რომანტიკით.

* * *

დიდი სიხარული იყო ჩვენთვის აგრეთვე ქართველ მებრძოლთა ვაჟკაცობის ამბების გაგონება და მოსმენა.

როდესაც მწერალთა კავშირის გაფართოებულ პრეზიდიუმზე ვხვდებოდით ფრონტებიდან ჩამოსულ რუს, უკრაინელ და ბელორუს მწერალ-ამხანაგებს, ისინი მოსალმებისთანავე გვახარებდნენ ხოლმე: — ქართველები ძალიან იბრძვიანო და თან გვისახელებდნენ არა ერთ ქართველ გმირ მებრძოლს და გვიამბობდნენ მათი გმირობის ეპიზოდებს. მაგ., უკრაინელმა პოეტებმა გადმოგვცეს ქართველი მეთაურის კილაძის შესახებ, რომელიც ორჯერ გამოექცა თურმე ფაშისტების ტყვეობას.

დაკითხვის დროს ფაშისტი ბანდიტები საშინლად აწამებდნენ მას, აწამებდნენ უფრო ვაჟკაცური პასუხებისათვის, მაგრამ შეუდრეკელი მებრძოლი კილაძე მაინც ვერ გასტეხეს.

უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა მოიგონა ერთი ეპიზოდი: საზარი დღე იყო. უკან ვიხევდით. გერმანელებმა საშინელი ჯოჯოხეთი დაატრიალეს. ყუმბარები ყოველ ნაბიჯზე ცვიოდნენ. იმ სასტიკ წუთებში ზოგი ჩვენგანი დაბნეული იყო, ზოგი სულიერად დაქანცული. ანაზდეულად მომესმა ქართული სიმღერა. უეცრივ თვალწინ გამიქროლა საბარგო მანქანამ, ზედ ქართველი წითელარმიელი იჯდა და ვაჟკაცური ხმით ქართულ სიმღერას მღეროდა. სიმღერა გაფრინდა და სივრცეში მისწყდა. ეს იყო მხოლოდ ერთი წამი, მაგრამ ამ წამმა იმ საშინელი სულიერი მოქანცულობის დროს წარმოუდგენლად გამამხნევა და ვაჟკაცობის სული ჩამბერაო.

მწერალმა კორნეიჩუკმა, რომელიც ამჟამად ბრძოლის ველზე ბრიგადის კომისარია, მიამბო: „ჩვენს ნაწილში იმყოფება ქართველი ვაჟკაცი პაპაშვილი. იგი სამხედრო სამზარეულოს მზარეულია. მთელ დღეს თავაუღებლივ მუშაობს, ფცქვნის კარტოფილს, ჭკეპავს ხორცს და თან მღერის, მაგრამ დაბინდდება თუ არა, აიღებს ხელში იარაღს, გაჰყვება მზვერავებს, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ცარიელი დაბრუნებულიყოს. არა ერთხელ მოუყვანია ტყვე ფაშისტი, ხოლო მის ტყვიას არა ერთი გერმანელი ბარბაროსი გაუგმირავს. პაპაშვილს მიაქციეს ყურადღება და ჯილდოზე წარადგინეს. მე, ვანდა ვასილევსკაიამ და მიკოლა ბაჟანმა მხურვალედ მივულოცეთ. მან თავის მხრივ მიკოლა ბაჟანს მადლობა გადაუხადა იმ შრომისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე გადათარგმნისათვის. ბოლოს პაპაშვილმა თავმომწონედ გვიჩვენა სახლიდან მისული მილოცვის ტელეგრამა, რომელშიაც მშობლები ეკითხებოდნენ: შენი ჯილდო ჩვენმა გვარმა მიიღო თუ ჩვენმა ოჯახმაო.

პოეტმა ლეონიდ პერვომაისკიმ გვიამბო ქართველი გმირის ჯოხაძის შესახებ, რომელსაც თანამებრძოლები პირდაპირ აღმერთებენ გმირობისა, შეუდრეკელობისა და პირადი ინიციატივისათვის. იგი ჯავშნიანი მატარებლის მეთაურად იყო და სასტიკი ომის წუთებში პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. როდესაც მე სხვაგან გადამიყვანეს, საშინლად მეწყინა, იმდენად მიმზიდველი პიროვნებაა ამხანაგი ჯოხაძეო.

არა ერთი ამბავი ქართველების გმირობისა გაიხსენეს ჩვენთან საუბარში მწერლებმა ილია ერენბურგმა, ვალენტინ კატაევმა, ევგენი პეტროვმა, ე. დოლმატოვსკიმ, ნოვიკოვ-პრიბოიმ და სხვებმა, რომელთა სიტყვა ერთი იყო: — თქვენი ძმები ღმერთებივით იბრძვიან და სხვანაირად არც შეიძლებაო.

ეს სიტყვები ჩვენ დიდი სიამაყისა და სიხარულის გრძნობას გვგვრიდნენ..

* * *

ბოლოს, ჩვენ თითონ გვერგო ბედნიერება პირადად შევხვედროდით ჩვენი ქვეყნის ვაჟკაც მებრძოლებს — მოსკოვის სახელგანთქმულ დამცველებს. იანვრის ბოლო რიცხვებში ჩვენ ვინახულეთ ცნობილი ჯახიევის ჯავშნიანი მატარებელი.

გასაგებია ის დიდი მღელვარება, რომელიც მაშინ ორივე მხარემ გამოვცადეთ. ჩვენ ჩვენის თვალით ვიხილეთ ის ხალხი, რომელიც შვიდი თვეა გმირულად, თავდადებით და სახელოვნად იბრძვის სამშობლოსა და სტალინისათვის. შვიდი თვის განმავლობაში მათ მრავალი გასაოცარი გმირობა ჩაიდინეს. განსაკუთრებით მოსკოვის დაცვის დროს. ზოგჯერ ისეთ ალაგას მოხვედრილან, საიდანაც ცოცხლად გამოსვლა პირდაპირ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ისინი არა თუ სამშვიდობოს გამოვიდნენ, არამედ შესძლეს დიდი ზიანის მიყენება მტრისათვის. რამდენის მთქმელია ის ფაქტი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მატარებელს დაუჭრეს რამდენიმე კაცი, ხოლო მოკლული არც ერთი არა ჰყავს.

ეს არის უმამაცესი და თავდაუზოგველი ხალხი, დაწყებული თითონ ჯახიევით. მაგრამ პირველი, რაც თვალში გეცემათ, არის მათი აუწერელი მოკრძალება. სამამულო ომს ახალი ტიპის გმირი შეუქმნია. თავის თავზე ლაპარაკს ისინი ერიდებიან და როდესაც გინდა ახლო გაიცნო მათ მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები, ჩვენს შეკითხვაზე ისინი ერთმანეთზე იშვერენ ხელს — ის გიამბობსო.

ერთმა მათგანმა თბილისელმა შოფერმა ქალაქური ოხუნჯობით მიპასუხა:

— ისე მივაწექით ფაშისტებს, როგორც კამოდის უჯრასო.

ჯახიევის ჯავშნიანი მატარებელი არის ერთობლივი ოჯახი, შედუღებული ძმობით, სამშობლოს სიყვარულით და მოვალეობის დიდი პასუხისმგებლობით. უმთავრესად ქართველები არიან: ქართლელები, იმერლები, კახელები. უმეტესობას თბილისელები შეადგენენ. მათ შორის არიან ქალაქელი რუსები და სომხებიც, მაგრამ მშვენივრად მოლაპარაკენი ქართულად. ჯახიევმა თითქმის სათითაოდ დაგვიხასიათა ისინი. მათი ნაბრძოლი მართლაც აღტაცების ღირსია. ზ. ღვინა, სმოლენსკი, სოლნეჩნოგორსკი და თვით მოსკოვი არიან მოწმეები მათი გაუტეხელი გმირობისა და თავდადებისა. განსაკუთრებით დასაფასებელია მათი გმირობა მოსკოვის დაცვის დღეებში, როდესაც მათი ქვემეხების და ტყვიამფრქვევების ცეცხლი უწყალოდ სცელავდა ჰიტლერის ბანდიტურ ურდოებს. მტრის არა ერთი საცეცხლე წერტი და მიუვალი საფარი მიულეწია ჯახიევის მატარებელს, არა ერთხელ დაუწვიმია ყუმბარის ცეცხლი ფაშისტების ტანკებისა და ჯარისათვის. ჯახიევის საცეცხლე თავდასხმა საშინელი მრისხანებაა მტრისათვის.

ჯავშნიანი მატარებლის მეთაური მაიორი ჯახიევი სრულიად ახალგაზრდაა. ლამაზი ვაჟკაცი, უშიშარი, შემართებული. „მტრის წინააღმდეგ ბრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდის“ — სწერია მის სახეზე. ეს ისმის მის სიტყვაში, ეს ჩანს მის მოძრაობაში, მის მიხვრა-მოხვრაში.

სახელოვან მეთაურს მხარს უმშვენებს სამხედრო კომისარი ვლადიმერ პოლიუსუკი. დაკვირვებული, ჭკვიანი, მამაცი და ენთუზიასტი, იგი ნამდვილი ტიპია სამხედრო კომისრისა. კეთილშობილი ვაჟკაცი და გამობრძმედილი მებრძოლია პარტორგანიზაციის მდივანი სმირნოვი. პოლიუსუკი და სმირნოვი — ორივენი თბილისელები არიან და ქართული ენა დედა-ენასავით მიუჩნევიათ. რომელი ერთი ვაჟკაცი დავასახელოთ მებრძოლებიდან? — ექიმის თანაშემწე გრიშა დოლიძე, მზვერავი იური ბალდოევი, მეზენიტე — კ. გაბუნია, ქვემეხის მემიზნე ქადეიშვილი, ღარიბაშვილი, კვაჭანტირაძე, მნათობიშვილი, შოთა ჭელიძე და სხვ. — ყველა ესენი კოლექტივის საამაყო სახელები არიან.

* * *

ომგადახდილი ჯავშნიანი მატარებელი ახლა ისვენებს. მის კედლებს, მისი ბაქნის კოშკს ატყვია ფაშისტური ყუმბარების ნაკვალევი. ისვენებენ მებრძოლებიც, მაგრამ მათი დასვენებაც დიდს მეცადინეობაში მიმდინარეობს. სამხედრო საქმეების გარდა, ისინი ეწაფებიან აგრეთვე ლიტერატურას, სწავლობენ რუსულ წერა-კითხვას, სისტემატურად უშვებენ კედლის გაზეთს, აქვთ ჩამოყალიბებული ქართული ცეკვა-სიმღერის გუნდი, კამათობენ სხვა და სხვა საკითხზე, ოხუნჯობენ, ღიღინებენ. და, ბოლოს, ჰყავთ საკუთარი პოეტებიც, რომელთაც ლექსები უწერიათ ბრძოლის ველზედ.

განსაკუთრებული ინტერესით გველაპარაკებიან ქართველ მწერლებზე. რა არის ახალი, რა დაიწერა. რას აპირობთ, გვეკითხებიან ქარცეცხლში გამოტარებული ადამიანები, რომელთაც არა ერთხელ მიუშვერიათ საკუთარი მკერდი ფაშისტ ბარბაროსთა ტყვიებისათვის სამშობლო ქვეყნის დასაცავად.

ჩვენ, ი. აბაშიძემ, ა. მაშაშვილმა და მე, ვუსაჩუქრეთ ჩვენი წიგნები. იქვე დაუწყეს გადაფურცვლა. გასაგებია მათი გახარება, როდესაც ერთმა ქართველმა მებრძოლმა სხვაგან და სხვა დროს ქართულად მოლაპარაკე რომ შემნიშნა, გახარებული მომვარდა:

— შენი ქართულის ჭირიმე, გეგონება, ჩიტმა დაიძახაო!

დიდი სიყვარულით და სინაზით გველაპარაკებიან სამშობლოზე, თბილისზე. ამაყობენ თავისი ქვეყნის სილამაზით, სიუხვით, მისი დიდებული აწმყოთი.

განსაკუთრებით ახარებთ წერილების მიღება შინიდან. ამიტომ არის ყველას საყვარელ პიროვნებად გადაქცეული ფოსტალიონი კირაკოზოვი, რომელიც დიდ სიამაყეს განიცდის იმ მომენტში, როდესაც სამშობლოდან მოსულ წერილს ხელში აძლევს ადრესატს. ფოსტა შესანიშნავად მუშაობს და ჩვენი მებრძოლები თავიანთი ქვეყნის, თავიანთი ოჯახებისა და მახლობლების ვითარების მუდმივ კურსში იმყოფებიან.

სხვათა შორის, ჯახიევის მატარებელს ჰყავს ერთად-ერთი საყვარელი დობილი, რომელიც მას ბრძოლის დღეებში შეჰხიზნებია. ეს არის ბელორუსი ქალი, 19 წლის მებრძოლი ნინა პეტროვსკაია, რომელსაც თავისი ხელით ჰყავს ბრძოლებში მოკლული 40 ფაშისტი, ხოლო თვრამეტი დაჭრილი წითელარმიელი გამოყვანილი ცეცხლის ხაზიდან. მან გვიამბო, თუ როგორ შეიპყრეს იგი ფაშისტებმა, როგორ აწამეს, როგორ დახვრიტეს მისი პატარა და. იგი წარდგენილია ორ ორდენზე, რომლის ჩაბარებას სხვა მებრძოლთა ჯილდოებთან ერთად სიხარულით ელის ჯახიევის მატარებელი. ჩვენი გაკვირვების საპასუხოდ ნინამ სთქვა: რა გიკვირთ, ჩემ ალაგას ყველა ასე მოიქცეოდა. ნინა მათი და, მათი დედაც, მათი მეგობარიც და, ბოლოს, გულმტკივნეული დიასახლისიც. ჩვენ ისე შეგვეგება, როგორც ნამდვილი დარბაისელი დიასახლისი.

— ჩვენ პოეტებს ჩვენი ეროვნული საჭმლით უნდა გავუმასპინძლდეთ და დაგვეხმარეთ, — თურმე ჩვენი მისვლის მოლოდინში სთხოვეს ნინას ქართველმა მებრძოლებმა. ნინასათვის უსწავლებიათ ხინკლის გაკეთება და იმ დღეს გმირი ქალი ნინა პეტროვსკაია სამზარეულოდან არ გამოსულა, და აკი ჩვენებური ხინკალით გაგვიწია მასპინძლობა საძმო სუფრაზე.

ბევრი ვილაპარაკეთ, ბევრი მოვიუბრეთ, ბევრი მოვიგონეთ, ბევრი გავიხსენეთ... აღტაცებულები იყვნენ ჩვენი ჩასვლით.

— ამაღამ აღარ დაგვეძინება სიხარულით.

ჩვენ რომ წამოსვლა დავაპირეთ, აღარ ვეთმობოდით, კიდევ დაცდას გვთხოვდნენ, სათითაოდ შეგვიპატიჟეს თავიანთ ბინებში. ჩვენც დიდხანს შევრჩით და, ბოლოს, შუაღამისას მხურვალე კოცნით დავიწყეთ გამომშვიდობება.

გარეთ დიდი ყინვა იყო, ქარი თოვლს ატრიალებდა. მანქანებში ვსხდებოდით. მებრძოლები გვემშვიდობებოდნენ:

— გვეხარბება, რომ სამშობლოში ბრუნდებით, ჩვენც ძალიან გვინდა სამშობლოში წასვლა, მაგრამ ჩვენ დავბრუნდებით მხოლოდ მაშინ, როდესაც მტერს გავანადგურებთ საბოლოოდ.

გვემშვიდობებოდნენ და თან გვაბარებდნენ:

— გადაეცით ჩვენს სამშობლო ქვეყანას, ჩვენს ოჯახებს, ჩვენს მეგობრებს, რომ ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, არ შევარცხვენთ სამშობლოს, არ შევარცხვენთ ჩვენს სტალინს!

მათი სიტყვები მესმოდა ნამქრის ზუზუნში. ვუყურებდი მათ ნაბრძოლსა და მკაცრ სახეებს და მაგონდებოდა მეცამეტე საუკუნეში აზიის ველებზე ნათქვამი ქართველი მხედართმთავრის სიტყვები:

„არა არს წესი ჩვენ ქართველთა, რათა ვიხილოთ მტერი, ჩვენსკენ მომავალი, და უბრძოლველად ზურგი შემოვაქციოთ, გინდ იყოს სიკვდილი“.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 6414